


# საშინაო დავალებები Teams-ში


## დავალბის შექმნა

თქვენ შეგიძლიათ შექმნათ დავალებები თქვენი მოსწავლეებისათვის Microsoft Teams-ში, მართოთ ვადები, ინსტრუქციები, რესურსები და ბევრი სხვა რამ.


1. აირჩიეთ კლასი და **General არხში** და აირჩიეთ **Assignments** ჩანართი.



2. დააწკაპუნეთ Create ღილაკს და აირჩიეთ New assignment




3. შეიყვანეთ სახელწოდება ამ დავალებისათვის - ეს სავალდებულოა. სახელწოდება გამოჩნდება დავალების ბარათზე
4. მიუთითეთ დამატებითი ინფორმაცია დავალებისთვის.



- აირჩიეთ რამდენიმე კლასი ან ცალკეული მოსწავლე ერთ რომელიმე კლასში დავალების მისაცემად.
- დამატებით დამატებითი ინსტრუქცია

- მიამაგრეთ დავალებას საჭირო ფაილი ღილაკით + **Add resources**. შეგიძლიათ დაამატოთ დოკუმენტები პირადი OneDrive-დან, კომპიუტერიდან ან შექმენით ახალი Word, Excel ან PowerPoint დავალებისათვის. დატოვებთ ნაგულისხმევი მნიშვნელობა **Students edit their own copy**, რათა მოსწავლეებმა შეძლონ საკუთარი ასლების მიღება რედაქტირებისათვის. მონიშნეთ **Students can't edit**, თუ თქვენ გსურთ მიამაგროთ ფაილი მხოლოდ ინფორმაციის გასაცნობად, მაგალითად, PDF ფაილი ან ბმული..




- აირჩიეთ Date due და Time due დავალების ჩაბარების დროის განსასაზღვრად.
  - აირჩიეთ Late turn-in allowed (მოგვიანებით შესრულება) თუ მოსწავლეებს აძლევთ დაგვიანების უფლებას.
  - აირჩიეთ ქულები Points და მიუთითეთ შეფასების შკალა, თუ გსურთ მოსწავლეების განმსაზღვრელი შეფასება. შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი რიცხვი 100 დან მთელი ან მათედი მნიშვნელობით მაგალითად : 88/100 ან 3.7/4.0.
2. დააწკაპუნეთ **Assign** ღილაკს. თქვენი მოსწავლეები მიიღებენ შეტყობინებას ახალი დავალების შესახებ. დავალების ბარათი ასევე გამოჩნდება თარიღის, ბმულისა და დავალების დეტალების მითითებით არხში General.
  3. აირჩიეთ **Discard**, რათა დახუროთ დავალება
  4. აირჩიეთ **Save**, რათა დავალება შეინახოთ მონახაზად, შეგეძლოთ დაბრუნება და მისი რედაქტირება.
    - მონახაზი ჩნდება კვირის **Assignments tab**-ში. თუ თქვენ არ მიუთითებთ კონკრეტულ დღეს, ავტომატურად მიენიჭება მისი შენახვიდან მეორე დღე შესრულების ვადად.
    - თანაავტორ მასწავლებლებს შეუძლიათ შენახვა და რედაქტირება

### დავალების რედაქტირება

დავალების რედაქტირება მას შემდეგაც კი შეიძლება, რაც მას მისცემთ მოსწავლეებს სამუშაოდ. მაგალითად, შეგიძლიათ დაამატოთ რესურსები, მასალები, შეცვალოთ შესრულების დრო ან მისცეთ გვიან შესრულების უფლება.

1. **General** არხში კვლავ აირჩიეთ **Assignments** ჩანართი.
2. დააწკაპუნეთ დავალებას, რომლის რედაქტირებაც გსურთ.
3. დააწკაპუნეთ **Edit** ღილაკს.



4. შეიტანეთ სასურველი ცვლილება - შესაძლებელია ნებისმიერი ველის რედაქტირება.
5. დააწკაპუნეთ **Update** ღილაკს, რათა შეინახოთ ცვლილებები.

### დავალებების გასწორება და უკუკავშირი მოსწავლეებთან

ყველა მასწავლებელს თავისი წარმოდგენა აქვს უკუკავშირზე. ყველამ კარგად იცის უკუკავშირის მნიშვნელობა, მაგრამ ხშირად უკუკავშირი და სწავლება ინერტული და უსარგებლო პროცესია. **Microsoft Teams Assignments** ანალოგია რეალური საკლასო ოთახისა. დავალების მიცემა, შეფასება, უკუკავშირი აქ ვითარდება შემდეგი სცენარით:

**Assign** - მასწავლებელი უგზავნის მოსწავლეს დავალებას

**Turn in** - მოსწავლე ასრულებს დავალებას და უბრუნებს მასწავლებელს

**Review** - მასწავლებელი ამოწმებს დავალებას, აფასებს და წერს უკუკავშირს.

**Return** - მასწავლებელი მოსწავლეს უბრუნებს შეფასებულ დავალებას.

**Undo turn in** - მოსწავლე უბრუნდება დავალების შესრულებას გაუმჯობესების მიზნით საბოლოო ვადის ამოწურვამდე.


**Return** და **Turn in again**. მასწავლებელი უბრუნებს მოსწავლეს დავალებას დავალების შესრულების ვადის ამოწურვამდე და ითხოვს მისგან დამატებას ან გადახედვას და აძლევს მას საშუალებას, ხელახლა ჩართოს დავალება.

**Late turn-ins allowed** - დავალების შესრულება და გამოგზავნა ნებადართულია მითითებული ვადის გასვლის შემდეგაც

**Analytics dashboard** აღრიცხავს დავალებებში ჩართულ მოსწავლეთა რაოდენობას.

### დავალების ნახვა და დაბრუნება

1. აირჩიეთ სასურველი კლასი და **General** არხში გადადით **Assignments** ჩანართში
2. აირჩიეთ დავალება, რომლის ნახვაც გსურთ, და აირჩიეთ **Review**.



3. მასწავლებელი ხედავს მოსწავლეების სიას და დავალების შესრულების სტატუსს. Turned in ნიშნავს, რომ მოსწავლემ გამოაგზავნა შესრულებული დავალება.

<input type="checkbox"/>	Name ▲	Student work	Feedback	/ 100
<input type="checkbox"/>	M1 Student 1, Minecraft	✓ Turned in		<input type="text"/>
<input type="checkbox"/>	M2 Student 2, Minecraft	⊘ Not turned in		<input type="text"/>

4. შესაფასებლად შეგიძლიათ **Feedback** ფუნქციით შეგიძლიათ უკუკავშირის მიცემა, ასევე ქულის დაწერა, თუ დავალებას წინასწარ მინიჭებული აქვს განმსაზღვრელი შეფასების ფუნქცია. **Return** ღილაკით უკან უბრუნებთ შეფასებას მოსწავლეს

Name ▲	Student work	Feedback	/ 100
<input checked="" type="checkbox"/> <span style="background-color: #c00; color: white; border-radius: 50%; padding: 2px 5px; margin-left: 5px;">M1</span> Student 1, Minecraft	<input checked="" type="checkbox"/> Turned in	<input type="checkbox"/>	<div style="border: 1px solid #ccc; padding: 2px; display: inline-block;">95</div>
Give feedback to Minecraft Student 1			
<div style="border: 1px solid #ccc; padding: 5px; min-height: 40px;"> <p>ყოჩაღ! კარგად გაართვი თავი.</p> </div>			

- შეგიძლიათ ჯერ ყველა მოსწავლის ნამუშევარი შეაფასოთ, შემდეგ მონიშნოთ ყველა ერთად და Return ღილაკით ყველას გაუგზავნოთ შეფასების შესახებ შეტყობინება.